

# საპრესბიურო

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საერთოული გაზეთი

სამშაბათი 25 მაისი 1999 №95 (868)

ფასი 1 ლარი

## ყურადღება!

სარბიელი 1 იენისიდან  
ძველებურად 50 თეთრი  
ელირება, მაგრამ ისევ  
16-გვერდიანი იქნება!

## ჯომოლუნგმას ორთავ მხარის ქართველებს

## თავი დაინუხიათ

თუ თვალს გადავავლებთ მთაში ხიფათში ჩაგარდნილთა თუ იქ დატრიალებული ტრაგიკული შემთხვევების ისტორიას, ვნახავთ, რომ გაჭირვებულებს დახმარების ხელს ყველაზე თავგამოდებით უწვდნენ შერაბი და ქართველი მთამსვლელები, სხვები კი არათუ უცხოებს, ხშირად თანაგუნდელებსაც ზურგს აქცევდნენ. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე (8848მ) წლევეანდელი ასვლებისას, კერძოდ მის ჩრდილოეთ ფერდობზე, საიდანაც სხვადასხვა ქვეყნის მთამსვლელები ცდილობდნენ და ახლაც ლაშობენ ასვლას.

როგორც ორი კვირის წინათ ვიუწყებოდით, ჯომოლუნგმაზე პირველი ქართული ექსპედიციის წევრები, რომელთაც გია თორთლაძე მეთაურობს, დაახლოებით 7800 მეტრის სიმაღლეზე დაეხმარნენ უკრაინელებს, რომლებმაც მიზანს კი მიაღწიეს, მაგრამ დაშვებისას ერთი წევრი დაეღუპათ, სხვებს ხელ-ფეხი ისე მოეყინათ, რომ დამოუკიდებლად სიარული აღარ შეეძლოთ და სხვათა დაუხმარებლად შესაძლოა თანაგუნდელის ბედი გაეზიარებინათ. უკრაინელთა დახმარებაზე მათთან ახლოს მყოფმა სხვა ქვეყნების ორი ექსპედიციის წევრებმა უარი თქვეს, მხოლოდ ქართველმა მთამსვლელებმა გამოიღეს ხელი და ხიფათში ჩაგარდნილთა საბაზო ბანაკამდე ჩასვლაში დაეხმარნენ.

მას შემდეგ ამ ექსპედიციის წევრები აღარ შემოგვხვდნენ, მაგრამ ინტერნეტის წყალობით შევიტყვეთ, რომ შაბათს, 22 მაისს, ჯომოლუნგმას ჩრდილოეთ ფერდობზე ახლა ერთი პოლონელი და ერთი ბელგიელი მთამსვლელები ჩაგარდნილთა მიხედვით, დახმარება ისევ თორთლაძის ჯგუფიდან მოსულა. დაშვებულნი და ხელ-ფეხ-მოყრულნი ჩვენებს საბაზო ბანაკში ჩაუყვანიათ, იქ კი ექსპედიციის მთამსვლელებმა ექიმმა ზურაბ ასტაჩიშვილმა, ინტერნეტში მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, „უსასყიდლოდ, კვალიფიციური სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა“.


„ქართველი მთამსვლელები საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ეხმარებიან ყველას, ვინც კი ევერესტზე ხიფათში ვარდება. ამიტომ უღრმესი მადლობა უნდა მოვასხენოთ ქართველთა გუნდს“ — ვკითხულობთ იმავე ინფორმაციაში.

ცხადია, ეს ყველაფერი, ამ მაღლივი სიტყვების გარდა, შესაძლოა ჩვენს მთამსვლელებს წარუმატებლობის ფასდაც დაუჯდეთ, რადგან ერთ კვირაში, ჩვეულებრივი „გრაფიკის“ მიხედვით, პიმალაის მთებში მუსონი დაიწყება და შემოდგომაში გასტანს, ეს კი მთაში ზამთრის დადგომას, გაუთავებელ აედარს — ქარიშხალს, თოვასა და ტემპერატურის მკვეთრ დაცემას ნიშნავს.

საინტერესოა, რომ ჩვენი მთამსვლელები იმ პოლონელსა და ბელგიელს სწორედ მაშინ დახმარებან, როცა მწვერვალზე თავად უნდა ასულიყვნენ (ბოლო ინფორმაციით 22-დან 24 მაისამდე).

სამწუხაროდ, ჩვენი მთამსვლელები ვეღარ გვიკავშირდებიან. შესაძლოა, ეს იმიტაცა განპირობებული, რომ ისინი ზემოთ არიან, ან ქვემოთ აღარ დარჩნენ სხვა ქვეყნის ის მთამსვლელები, რომლებსაც სატელიტური კავშირის საშუალებები გააჩნდათ, რასაც ქართველებიც იყენებდნენ. ყოველ შემთხვევაში, სამხრეთის ფერდობიდან მწვერვალზე ასული ჩვენი მეორე ჯგუფის წევრებმა, რომლებსაც ბენო ქაშაკაშვილი მეთაურობს და შაბათს კატმანდუში მშვიდობით ჩასულან, გვაცნობენ, რომ ჯომოლუნგმას ჩრდილოეთ მხარეს ამინდი ვაფუჭდა, რის გამოც სხვადასხვა ექსპედიციებს ბანაკები აუყრიათ და ნეპალის დედაქალაქისკენ მოემარებებიან.

ამთანდელ გურასაშვილი



ლევან მოსეშვილი

გურამ დოლაბაძის ფოტო

## ლევან მოსეშვილის დახმარების დღეს ქართულ კალატბურთს კლინიკურმა სიკვდილმა უნია

1999 წლის 23 მაისს, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლევან მოსეშვილის 59-ე დაბადების დღეს, განგებამ მძიმე დარტყმა მიაყენა იუბილარსა და ქართულ კალატბურთს:

ამ დღეს მოსეშვილის განვრთნილ გუნდს საბოლოოდ გადაეწურა ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირიდან გაღწევის იმედი. ეს ნიშნავს, რომ:

საქართველოს ნაკრები ორი წლით გამოაკლდა ევროპულ კალატბურთს.

სულთმობრძავი ქართული კალატბურთისთვის ეს დარტყმა, შესაძლოა, სასიკვდილოც აღმოჩნდეს.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

## ათი, ათი, ათლაშაზი?

1999 წელი. 23 მაისი. საქართველოს რიგით მეათე ეროვნული ჩემპიონატი ისტორიას ჩაბარდა.

საბოლოოდ დახანწილდა და გადახანწილდა წლის მონაგარიც: „დინამო“, ისევე როგორც ადრე, ახლაც ჩემპიონი გახდა. ეს თბილისელთა მეათე ოქროა ზედიზედ.

თავისი ისეც ლაშაში ისტორია ერთი ლაშაში ფურცლითაც მოგვეცხლა ქუთაისის „ტორპედომ“. ბრინჯაო „ლომთოტივიმ“ მიიკუთვნა და ალბლიც არის.

საიუბილეო ჩემპიონატი ჩამოშარეს „გურიაში“ და „ოდიშმა“ პირველად, ამ გუნდების არსებობის მანძილზე, გურულები და ოდიშარები მეორე ჯგუფში გადაინახნენ.

სეზონს მხოლოდ „სიონი“ და თსუ აგრძელებენ წინ გადათამაშებებიან. ვინ და ვისიც აჯობებს, პირველ ჯგუფსაც ის შერჩება.

სხვა მხრივ, წილი ნაყარია და ყველაფერი გარკვეული.

მეათე ეროვნული ჩემპიონატი დამთავრდა.

ირაკლი ნიკოლაიძის ფოტო



საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი თბილისის „ლომთოტივი“. დანან: კოტე კილაძე (ექიმი), შალვა კაკაბაძე (გუნდის უფროსი), ვაჟა ტოგონიძე (მწვრთნელი), პაატა ბარნოვი, ალექსანდრე გოგობერიშვილი, თემურ მახარაძე (მთავარი მწვრთნელი), ალექსანდრე კოტორაშვილი, დავით მუჯირი, გიორგი ჩხარაძე, მერაბ ზუცურაული (მწვრთნელი) სხედან: ისიდორე გილაური, ზურაბ ქლიავა, პამელტ წივცივაძე, გენადი კაციაშვილი, დავით გოდერძიშვილი, გიორგი ლუღუშაური, კონსტანტინე მელქაძე, დავით ბაქრაძე, ლევან ლაბაძე (კლუბის მუშაკი); წევან: დავით ჯანელიძე, ლევან დოლაბერიძე

საპრესბიუროს  
30  
ტურნი

23 მაისი, კვირა

დინამო	6
სამგურალი	0
კოლხეთი	3
იზირია	1
სიონი	1
ტორპედო	2
მერანი	4
დილა	0
თსუ	1
ლოკომოტივი	4
ოდიში	1
ვიზ ჯორჯია	3
გორდა	2
გურია	2
არსენალი	0
ბათუმი	1

დინამო	30	24	5	1	91:7	77
ტორპედო	30	21	4	5	73:27	67
ლოკომოტივი	30	18	10	2	42:14	64
კოლხეთი	30	15	7	8	57:36	52
ბათუმი	30	13	11	6	49:22	50
მერანი	30	12	9	9	37:29	45
ვიზ ჯორჯია	30	14	5	11	42:29	44
იზირია	30	11	5	14	45:48	38
არსენალი	30	9	11	10	34:44	38
დილა	30	10	5	15	37:54	35
სამგურალი	30	10	3	17	32:57	33
გორდა	30	7	11	12	28:46	32
სიონი	30	7	7	16	27:52	28
თსუ	30	6	9	15	28:45	27
ოდიში	30	6	2	22	21:70	20
გურია	30	3	4	23	34:87	13

„ვიტ ჯორჯიას“ დეკლუბული აქვს 3 ქულა





















# ბურთის თაგაში აკრძალულია!

## ჩემპიონთა თასის ფინალი

დავით კაკაბაძე  
ბარსელონიდან

„Prohibit jugar a pilota“ („ბურთის თაგაში აკრძალულია“) — ასეთი ამკრძალავი ნიშანი მსოფლიოს არც ერთ ქალაქში არ მინახავს. მისი „გამოკონება“ და ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ მოედნებზე გამოკიდება ბარსელონის მუნიციპალიტეტს იმიტომ დასჭირდა, რომ ბურთის (უფრო ზუსტად კი, ფეხბურთის) აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე თამაშობენ. და რაკი ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ქალაქში (17 ათასი მოსახლე ერთ კვადრატულ კილომეტრზე) საფეხბურთო მიწები თამაშის ყველა მსურველს ვერ იტევს, (ბარსელონელში იძულებული არიან, სპორტული ფინი ქუჩებსა და ზემოთ ნახსენებ ხალხმრავალ მოედნებზე დაიკონ: ამ კატალონიურ აკრძალვა-გაფრთხილებას ახლა ვინა დაგიდევს, როცა „ბარსა“ მეთექვსმეტედ მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონის წოდება!

დაიხ, მას შემდეგ, რაც „ბარსელონა“ შაბათს სტუმრად 4:1 დაამარცხა „ალავესი“ და ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე ოქროს მედლები გაინაღდა, კატალონიის დედაქალაქში საზეიმო ატმოსფერო სუფევს. შინ დაბრუნებულ გმირებს აეროპორტში ათათასობით გულშემატკივარი შეეგება. კვირას კი ლამის მთელი ქალაქი ქუჩაში გამოვიდა, რათა თვალი შეეგლო და ხელი დაეჭინა თავისი კერაბისთვის. ორსართულიან რია ავტობუსზე ამხედრებული ლუის ენრიკე, ფიგუ, გვარდიოლა, რივალდო, კოკუ და მათი პოლანდიელი დამრიგებელი ლუის ვან გაალი, გუნდის სხვა წევრებთან ერთად, დიმილს არ იშურებდნენ ქომაგებისთვის. მთელი გზა „კამპ ნოუდან“ კატალონიის მოედანამდე მათ სულ ცეკვა-თამაშში გალიეს, და წამლაუწუმ კოცნას უგზავნიდნენ გზის ორივე მხარეს შევრილ ხალხს. უმეტესობა კლუბის ლურჯ-წითელ ფერებში გამოწყობილიყო. რამბლასზე (ბარსელონის რუსთაველზე) ღხენა-ღრეობა მთელ დამეს გაგრძელდა.

მაგრამ რაკინდ სასიამოვნოც უნდა ყოფილიყო ამ საყოველთაო ზეიმში მონაწილეობა (1981 წლის 13 მაისის შემდეგ ასეთი სახალხო დღესასწაულის მომსწრე აღარც ვყოფილვარ), რაკინდ შთამბეჭდავიც უნდა იყოს პაბლო კასალის, მონსერატ კაბალიეს, სალვადორ დალის, ხონ მიროს ქალაქის გაცნობა, ქალაქისა, რომელიც მარგალიტებივით მიმოხეულია



ბედნიერი „ბარსა“. ვან გაალი, რივალდო, ანდერსონი და ჯოვანი გუსტინ კატალონიის დედაქალაქის ქუჩებში

მისი ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული შვილის, ანტონი გაუდის ხუროთმოძღვრული შედეგები, ბარსელონაში ამისთვის არ ჩამოვსულვარ.

ოთხშაბათს კატალონიის დედაქალაქში დიდი ფეხბურთის მატჩი, რომელსაც მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტმა, ფრანც ბეკენბაუერმა, თავისი კლუბის 99-წლიან ისტორიაში უმნიშვნელოვანესი უწოდა. „ბაიერნის“ მეტოქის, მასზე 22 წლით უფროსი „მანჩესტერ იუნაიტედის“ შესვეურები მომავალ შეხვედრას მსგავსადვე აფასებენ. არც არის გასაკვირი: 26 მაისს ევროპა ამ ათასწლეულში უკანასკნელად გამოავლენს თავის უძლიერეს საფეხბურთო კლუბს!

შესაბამისია ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩისადმი გულშემატკივართა ინტენსივ ორშაბათს ბარსელონის ქუჩებში ესპანურ „Campeones, campeones“ თანდათან შეერია ინგლისური „We are the champions“ და გერმანული „Stern des Sudens“ („ბაიერნის“ ოფიციალური ჰიმნია). ახლა რამბლასზე „ბარსას“ მისურებია ახალგაზრდებთან ერთად ჯგუფ-ჯგუფად დასეირნობენ „მანჩესტერის“ წითელსა და „ბაიერნის“ ლურჯ-წითელ ფორმებში გამოწყობილი ქომაგები, რომელთა ოდენობამ დღის განმავლობაში საგრძნობლად იმატა. ქალაქის სასტუმროები ყველა მსურველის დაბინავებას ვეღარ აუდიან, რაც საკუთარი გამოცდილებითაც შემძლია დავადასტურო: ორ დღეში უკვე ორჯერ მოვასწარი ბინის გამოცემა და დარჩენილ სამი დღეში (თუ სულაც ქუჩაში არ აღმოჩნდნენ) ალბათ კიდევ არაერთხელ მომიწევს ერთი სასტუმრო-

დან მეორეში გადაბარება.

ჯერჯერობით კი მთელი ბარსელონა მღერის მღერის, როგორც გითხარით, არა მხოლოდ კატალონიურად და ესპანურად, არამედ — სულ უფრო ხშირად ინგლისურად და გერმანულადც. ეკ, ამით უნდა თქვან, საქმე სამღერლად გვაქვს! „ბარსელონას“ მეთექვსმეტედ გამემათონებაზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ. ისიც უჩემოდ გეცოდინებათ, რომ გასულ კვირაში ეროვნული თასის მოპოვებით „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ბოლო ექვსი წლის მანძილზე მესამედ „დუბლი“ მიითვალა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში. „დუბლის“ დიდი შანსი აქვს „ბაიერნსაც“, რომელსაც გერმანიის ჩემპიონის ოქროს მედლები უკვე ჯიბეში უდევს, ხოლო 12 ივნისს ეროვნული თასის ფინალში ბერლინის „ჰერტას“ ხვდება. 26 მაისს ერთ-ერთი მათგანი (ან „მანჩესტერი“, ან „ბაიერნი“) ოფიციალურად გამოცხადდება „ძველი კონტინენტის“ უძლიერეს საკლუბო გუნდად. მოდი და ამის მერე ნუ იმღერებ, თუკი გული რომელიმე მათგანისთვის ვიძვერს!

ბარსელონა ფეხბურთის მოლოდინით ცხოვრობს. ქალაქის ცენტრში, ლამპიონებზე, ჩამოკიდებულია მოზრდილი პლაკატები ლაკონური წარწერით: „26 მაისი. ფინალი“. რისი ფინალი, და ვისი მონაწილეობით, ისედაც ყველას მშვენივრად მოეხსენება. ამიტომაც არის, რომ აკრძალვა „Prohibit jugar a pilota“ ისეთივე აბსურდად მეჩვენება, როგორც უწყლო აუზი ან უბორბლო მანქანა. მითუფრო აქ, ბარსელონაში!

REUTERS ბარსელონიდან

# კოლინა ფინალის მატჩი

ვა შემდეგი მატჩი („ბრონდბიუსთან“) ეფენბერგმა. კოლინა, რომელმაც 1996 წელს ოლიმპიადის ფინალი, ნიგერია — არგენტინა იმსაჯა, ევროშეჯიბრების მთავარ შეხვედრას პირველად მოემსახურება.



პიერლუიჯი კოლინა

# სარგბიელი სპორტული ლატარია "CROCO"

ჩემპიონთა თასი. ფინალი  
26.05 მანჩესტერი — ბაიერნი (1,4-2,3) 1,8 3,1 3,8

იტალიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. პირველი მატჩები  
27.05 ინტერი — ბოლონია 1,3 4,0 7,5

რუსეთის ჩემპიონატი. თასის ფინალი  
26.05 დინამო — ზენიტი 1,6 3,3 4,7

კოლანდიის ჩემპიონატი. აელი ოფი  
27.05 ვალვაიკი — ეენი 1,7 3,2 4,2  
დორდრეხტი — ზეოლე 2,4 2,8 2,7  
სპარტა — გრონინგენი 2,0 2,9 3,4  
პელმონდ სპორტი — ექსელსიორი 2,0 2,9 3,4

კოლონეთის ჩემპიონატი. XXIX ტური  
26.05 ლეზი — ვიევი 1,9 2,8 3,8  
სტომილი — რაძიონკოვი 1,9 2,8 3,8  
ზაგლეზე — ამიცა 1,9 2,5 4,2  
პოლონია — კატოვიცი 1,2 5,0 9,0  
0:1 1,7 3,2 3,2  
ოდრა — ლეგია 3,0 2,9 2,2  
პოგონი — ბელზატოვი 1,7 3,1 4,4  
გურნიკი — ვისლა 2,8 2,9 2,3  
ლეს — რუზი 1,9 2,5 4,2

ამხანაგური მატჩი  
27.05 შევედთი — იამაიკა 1,2 5,0 9,0

ჰოკეი. NHL  
25.05 ტორონტო — ბუფალო 1,8 4,4 2,2  
26.05 კოლორადო — დალასი 1,6 4,4 2,7  
27.05 ბუფალო — ტორონტო 1,7 4,4 2,4

კალათბურთი. NBA  
25.05 იუტა — პორტლენდი 1,5 12,0 2,0

კბეთს მიუბთ ამიერიდან გაბმიც იმუმაეუმს  
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



„მანჩესტერ იუნაიტედი“ ბარსელონაში საგანგებოდ დაქირავებული „კონკორდი“ ჩაფრინდა









# კლინსმანი ატირებული წავიდა

REUTERS შტუტგარტიდან



REUTERS კანინდან



# მის მოსრეს მინი დე ქანოლე

ბრიტანელ ტოპმოდელ კეიტ მოსზე, კანის ანვასრულებული ფესტივალის ბოლოს დღეს „ტოტენჰემის“ ფრანგ შემტევ დავიდ ფინოლასთან ერთად რომ გამოუჭერიათ, კარგს წამლადაც ვერ გაიგონებთ. აქაოდა, ისეთი აშაღლარია, კაცი თუ გულში ჩაიგდო, არ უშვებსო, იქაოდა, იმდენს კაიფობს, ბოლო-ბოლო გაფრინდებო და ასე შემდეგ... მაგრამ თავად დავიდს ამით რა?! არც არაფერიო, პასუხობს ფეხბურთელი და ცხოვრების მიერ ბოძებულ შანსებს ისევე მარჯვედ იყენებს, როგორც აი იქა, „სფურზის“ „უაით ჰართ ლენის“ ხახხასა მინდორზე...

# დედა არ გვასსოვს შვილებსა

რუსი ადამიანს რამე ტყვივა, „ვაი, დედას“ იძახის ხოლმე, ხოლო როცა რამე უხარია, საყვარელი ქალის ტუჩებს ეძებს... ავსტრალიელ ჩოგბურთელს, პატრიკ რაფტერს იმ დღეს თომას ენკვისტთან მოგებული მატჩი გაუხარდა... ეს კალთრიული კადრიც სწორედ ამ სიხარულის გამოხატვას გადაეება.



REUTERS დიუსელდორფიდან

# პა-პაი იაკონიას

28 წლისა და 223 კგ-ის პაგაელ-ამერიკელმა სუმისტმა მუსასირუმ კვირას გაზაფხულის დიდი ტურნირი მოიგო. სანამ ხელში იმპერატორის თასის ჩაბღვავის უფლებას მიიღებდა, მან 12 მეტოქეს სძლია, ფინალში კი სულაც ამჟამინდელი „იოკოჰუნას“, თანაპაგაელ მძას, აკებინოს აჯობა... რამდენადაც ეს მისი ზედმედ მეთრედ მოგებული ტურნირია, სუმის ააბონიელ მახვშთა გადაწყვეტილებით, ამ სეზონის „იოკოჰუნას“ წოდება სწორედ მას უნდა ერგოს. თუკი ეს ამბავი საბოლოოდაც დამტკიცდა, მუსასირუ აკებინოს შემდეგ მეთრედ ააბონიაში არდაბადებული სუმისტი შეიქნება, უპირველესი მობღალარძუნის ტიტულის რომ შესწვდენია...



REUTERS ტოკიოდან

REUTERS ლონდონიდან



# შენი დიმილი გოლის ფასია

საქმობს საყვარელსა უჩვენენე საქმენი სავმირონიო — დიდი კლასიკოსის ამ შეგონებას მსოფლიოს საფეხბურთო ამქარში ვინძლო „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველ დევიდ ბექემზე უკეთ ამ სეზონში ვერა კაცი ვერ ასრულებდეს... ჰოდა, „საყვარლის“ სახეზეც აბა რა შეაჭნობს ბედნიერ და მომხიბლავ ლიმილს... ფეხბურთის ერთი ყველაზე გამორჩეული რძლის, ვიქტორია ადამსის ეს ფოტო უემბლიზე, „მანჩესტერ“ — „ნიუკასლის“ სათასო ფინალისას გადაიღეს...



REUTERS ტოკიოდან

<b>შევიცარია</b>	<b>ბრასპოვარი 0:2 ციურისი</b>
XII ტური	0:1, 0:2 ბარტლეთი (23, 70)
<b>ბაზალი 0:0 სირვები</b>	<b>ლუზანა 5:1 ლუცერნი</b>
<b>სტ. გალინი 0:0 ძხაბაძი</b>	1:0 დიოგო (4), 2:0 პანტელინი (14), 2:1 იოლევი (43), 3:1 სელესტინი (57), 4:1 მაცონი (86), 5:1 სელესტინი (88)

**სარბიელი**  
საორტული გაზეთი  
გამოიცვამა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის სამაბათს,  
ოთხაბათს, ხუთაბათს,  
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე  
დირექტორი გიორგი ოქროშაძე  
რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი  
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი  
ავთანდილ გურასაშვილი  
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი პანტელა ბუნიკაძე  
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო მორჩილაძე  
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი  
კალათბურთის განყოფილების გამგე მირაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქცია, ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულიაშვილი, გიორგი ვაშაყიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პატა კვანტალიანი, ზვირა სანიკიძე

უცხოური განყოფილება ლაშა გოლაძე, დავით კოჭიანიძე, ვანო ოქროპირიძე, ონი სე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე; ფოტორეპორტიორები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე; სტილისტები მათა აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიაშვილი; კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კვლეშვილი, დავით ნადირაშვილი, მარია ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი; გამომშვები ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:**  
თბილისი,  
ალექსანდრე ყაზვბაძის  
ბაზარი 42, II კორპუსი,  
IV სართული.  
**საფოსტო მისამართი:**  
თბილისი — 79,  
საფოსტო ყუთი 208.  
ტელეფონი: 39 48 29